პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 26 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 141 (839) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## საფრანგეთის კომპარტია მაროკოს ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობა აწარმოებს დაპყრობითი ომს რიფების წინააღმდეგ. დღეს ყველასათვის აშკარაა საფრანგეთის ბურჟუაზიის ეს მორიგი ავანტიურა. და პირველი ვინც ხმამაღლა ხმა ამ ახალი ყაჩაღობის წინააღმდეგ ეს იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტია. მან სასტიკად გაილაშქრა თავისი ბურჟუაზიის ამ მორიგი იმპერიალისტური ნაბიჯის წინააღმდეგ. კომპარტიამ შესძლო საკმაო საბუთების გამომჟღავნება, რომლებიც ფარდას ხდიან ფრანგ კაპიტალისტების შავ საქმიანობას ამ ავანტიურის მოწყობაში.

ამასთანავე ერთად კომპარტიამ გამოაშკარავა სოციალისტების საზიზღარი როლი მაროკოს ავანტიურაში.

რასაკვირველია ასეთმა ენერგიულ გალაშქრებამ კომპარტიის მხრივ დიდ აღშფოთებაში მოიყვანა საფრანგეთის ბურჟუაზია და მისი ერთგული მონა სოციალისტური პარტია. უნდა ითქვას, რომ კომუნისტურ პარტიამ საუცხოვო შედეგებს მიაღწია თავისი იგრიშებით მაროკოს ომის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მშრომელთა მასების დიდი უმრავლესობა თანაგრძნობით შეხვდა კომუნისტების პოზიციას ამ საკითხში.

ყოველივე ეს მოსვენებას არ აძლევს იმპერიალისტურ მთავრობას. ის ყოველგვარ ხრიკს მიმართავს, რომ გაიმართლოს თავი და ავანტიურაც განაგრძოს.

და აი რიფების აჯანყებაში მან ბრალი დასდო კომინტერნს და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას. „მე კი არა, აი კომუნისტები და ზინოვიევი არიან ამ აჯანყების მიზეზიო“.

ასეთ ცილისწამებას მათთან ერთად გამყიდველი სოციალისტებიც იმეორებენ.

ამით ბურჟუაზიას და მათ ყვითელ დამქაშებს სურთ ფონს გავიდენ. მათი მიზანია ბრალი დასდონ კომუნისტურ პარტიის დეპუტატებს სახელმწიფო დარბაზში და ახადონ მათ სადეპუტატო უფლებები და შემდეგ ციხეში გამოკეტონ, რომ შემდეგში ხელი არ შეუშალონ ისინმა მათ იმპერიალისტურ პოლიტიკაში.

მაგრამ საფრანგეთის კომუნისტური პარტია არც ისე უძლურია, რომ ასე ადვილად მისცეს თავისი დეპუტატები ხელში საფრანგეთის კაპიტალისტების მსახურებს.

ის საკმაოდ მჭიდროთ დაკავშირებულია საფრანგეთის მშრომელთა მასებთან, რომელთა თანაგრძნობა და სიმპატია დღითი-დღე იზრდება მისდამი.

ამ მასების დახმარებით და მის სათავეში დგომით საფრანგეთის კომუნისტური პარტია ყოველთვის მიაღწევს დასახულ მიზანს და ვერავითარი ხრიკები, პროვოკაცია და დევნა ბურჟუაზიის მხრივ ვერ შეაჩერებს მის ბრძოლას იმპერიალისტური და ყაჩაღური ომის წინააღმდეგ.

---

## მენშევიკები კმაყოფილი არიან საფრანგეთის მტაცებლური პოლიტიკით.

23 ივნისს საფრანგეთის პალატის საღამოს სხდომაზე გამოვიდა სოციალისტების ლიდერი რენოდელი, რომელმაც აღნიშნა განსხვავება კომპარტიისა და სოციალისტების პარტიებს შორის საახალშენო პოლიტიკის საკითხში.

რენოდელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთავრობას კვლავ ხაზგასმით აღენიშნა თავისი მშვიდობიანური ზრახვები.

ახსნა-განმარტებით გამოვიდენ პენლევე და ბრიანი. განმარტებამ როგორც სჩანს დააკმაყოფილა სოციალისტები. შესვენების დროს სოციალისტებმა სხვა მემარცხენე ბლოკის ფრაქციებთან ერთად განიხილეს მემარცხენე ბლოკის საერთო რეზოლიუციის პროექტი.

რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობა იღებს თავის თავზე ვალდებულებას რათა შეათანხმოს თავის პოლიტიკაში ხელშეკრულებათა პატივისცემის საკითხი რიფების მშვიდობიან განვითარების საკითხთან.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა 510 ხმით 10-ს წინააღმდეგ.

# ახალი რადიო-ამბები

## საფრანგეთის პოლიციის ერთგულება.

პარიზში დააპატიმრეს ჩინეთის კომუნისტური ჯგუფის ლიდერი.

განდევნილ იქნა 7 ჩინელი, რომელთაც სწამებდენ აგიტაციის წარმოებას უცხოელთა წინააღმდეგ შანხაიში.

---

## ტერორი რუმინეთში.

ბუქარესტში, არადში, ტემეშვარში და რუმინეთს სხვა ქალაქებში მოხდა ახალი დაპატიმრებანი.

პატიმრებს მხეცურად ეპყრობიან.

დაპატიმრებულთა შორის ბევრი პროფკავშირთა გამოჩენილი მოღვაწე. პატიმართა ერთი ნაწილი გადაცემულია ბუქარესტის სამხედრო სასამართლოზე.

## პროტესტი ტერორის წინააღმდეგ ბესარაბიაში.

„ბესარაბიის მეგობართა საზოგადოებამ“ გამოაქვეყნა მოწოდება და პროტესტი ბესარაბიის ტერორის წინააღმდეგ. მოწოდება მიმართავს ევროპის საზოგადოებრივ აზრს ხმა აღიმაღლონ კიშნიოვის სამასი პოლიტპატიმარის სასარგებლოდ.

მოწოდებას ხელს აწერს მთელი რიგი პროფესორები და სხვა და სხვა ქვეყნის მწერლები, მათ რიცხვში რომენ როლანი, სინკლერი და ბლასკო იბანიესი.

---

## ესპანეთსა და რიფებს შორის მოლაპარაკების შესახებ.

ესპანეთის ფინანსისტი ეჩევარიეტა, რომელიც გაგზავნილი იყო ესპანეთის მთავრობის მიერ აბდ-ელ-ქერიმთან მოსალაპარაკებლად, დაბრუნდა მადრიდში რიფების ბელადის ნახვის შემდეგ.

---

## გაკოტრებულები—გაკოტრებულებს ეხმარებიან.

ინგლისში შესდგა „საქართველოს მეგობართა საზოგადოება,“ რომლის მიზანია შეწირულების დაგროვება ქართველ ემიგრანტებზე დასახმარებლად.

ეს საზოგადოება წარმოიშვა საქართველოს დახმარების კომიტეტისაგან, რომლის ამოცანას შეადგენდა საქართველოში აგიტაციის გაწევა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახალმა საზოგადოებამ გამოუშვა მოწოდება დახმარებისათვის. მოწოდება დაბეჭდილია რამოდენიმე გაზეთში და სხვათა შორის ხელმოწერილია ფილიპ სნოუდენის, მისი ცოლისა და მაკდონალდის მიერ.

---

## იტალიის მთავრობამ ბოდიში მოიხადა.

იტალიის მთავრობამ ფორმალურად მოიხადა ბოდიში მიმდინარე წლის მაისში ფაშისტების მიერ ამერიკის კონსულის ცემის გამო ლივორნოში.

---

## გაფიცვების შესახებ საფრანგეთში.

მიუხედავად ზოგიერთ რეფორმისტულ ბელადის წინააღმდეგობისა, სამეტალურგიო ქარხნების მუშათა საგანგებო ყრილობამ დაადგინა გამოაცხადონ 1-ლ ივლისიდან საყოველთაო გაფიცვები იმ შემთხვევაში, თუ რომ მეპატრონეები დაუკლებენ მუშებს სამუშაო ხელფასს.

---

## უმუშევართა დემონსტრაცია პოლონეთში.

### სამუშაოსა და პურის მაგივრად კონდახები და ხმლები.

ლვოვში ჩატარდა საყოველთაო 3-საათიანი საპროტესტო გაფიცვები უმუშევრობის წინააღმდეგ.

მთავარ მოედანზე გამართულ იქნა მიტინგი შემდეგი ლოზუნგებით: „სამუშაო და პური“. მიტინგის შემდეგ დემონსტრანტები გაემართენ მთავრობისაკენ მოთხოვნილების წარსადგენად.

მაგრამ გზა მილიციამ გადაუჭრა დემონსტრატებს, რომელთა გარეკასაც ცდილობდენ კონდახებითა და ხმლებით.

დაიჭრა 20 მუშა. დაპატიმრებულია მრავალი.

---

## დრუჟელოვსკი გაათავისუფლეს.

ცნობილი ყალბი საბუთების მოხელე დრუჟელოვსკი, რომელიც დაიჭირეს ამას წინად გერმანიაში და რომელსაც აღმოაჩნდა სხვა და სხვა ყალბი ბეჭდები და საბუთები კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის შესახებ, გათავისუფლებულ იქნა პატიმრობისაგან.

---

# საბჭოთა კავშირში

## გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების საქმე.

უზენაეს სასამართლოში დაიწყო გერმანელ ტერორისტების—კინდერმანის, ვოლშტის და დიტმარის საქმე. ეს სტუდენტები შემოვიდენ საბჭოთა კავშირში ვითომდა მეცნიერული ხასიათის ექსკურსიით. ნამდვილად კი მათი მიზანი იყო ბოლშევიკური პარტიის ლიდერებზე ტერორისტული აქტების შესრულება.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, როცა თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულებს, სცნობენ თუ არა ისინი თავს დამნაშავედ, ბრალდებულმა კინდერმანმა თავხედურად განაცხადა, რომ არც ერთი ბრალდებული თავს დამნაშავედ არ სცნობს. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს კინდერმანს, რომ მას უფლება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ თავისი სახელით.

როცა დიტმარს ეკითხებიან, ის სცნობს თავს სრულიად დამნაშავედ. ბრალდებული ვოლშტი უარყოფს ბრალდებას.

## ბაქოს ნავთის შემოსავალი მეტად ნაყოფიერი იყო.

ნავთის მრეწველობის საბჭოს ცნობით ბაქოს რაიონში ნავთის ამოღება რეკორდული იყო. მაისში სულ ამოღებულია 25.189.000 ფუთი ნავთი, პროგრამა ასრულებულია 107 პროცენტით.

## საერთაშორისო საპლანერო შეჯიბრი.

საბჭოთა კავშირის ავიოქიმიის პრეზიდიუმის ბიურომ გადასწყვიტა გააგზავნოს საერთაშორისო საპლანერო შეჯიბრზე გერმანიაში 6 პლანერი.

# ამხ. თუმანოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის მუშაობის შესახებ.

საკავშირო საფინანსო თათბირზე მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. თუმანოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბანკმა შეასრულა მის წინაშე მდგარი ამოცანები სახალხო მეურნეობის ზრდასთან შეფარდებით.

ჩვენ წინაშე სდგას ამოცანა რაც შეიძლება ჩქარა და ფართე დახმარება გაუწიოთ ჩვენს მრეწველობას. სესხის სახით უახლოეს 9 თვის განმავლობაში მრეწველობა მიიღებს 250 მილიონ მანეთს გრძელვადიან კრედიტის ფორმით.

ამ საქმეში საჭიროა კერძო კაპიტალის ჩათრევაც. ჩაბმულ უნდა იქნას კერძო კაპიტალი სავაჭრო ტრიალის სფეროში და ეკონომიური პოლიტიკის ზომებით უნდა იძულებულ იქნას ის ხელი შეუწყოს საბჭოთა ეკონომიკის შემდეგ განვითარებას. მაგრამ სადაც კი საკმაოდ ძლიერია სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია, საჭირო არაა მისი საკრედიტო დახმარება, მაგრამ სადაც კი ცარიელი ადგილებია შევსებულ უნდა იქნას კერძო კაპიტალის ჩათრევით.

**ამხ. კრასინის მისალმება.**

თუმანოვის მოხსენების შემდეგ საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარიატის სახელით მისალმებით გამოვიდა ამხ. კრასინი, რომელმაც განაცხადა, რომ საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, ფინანსთა კომისარიატი და სახელმწიფო ბანკი დღემდე შეკავშირებულად მოქმედებდენ კავშირის მეურნეობის აღდგენაში, ეხლა კი ისინი ასევე შეკავშირებულად უნდა გამოვიდენ საზღვარ გარეთის სესხის სფეროშიც.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარების გეგმაში, ჩვენ ვერ მივსდევთ უცხოელ ეკონომისტების რჩევას, რომლებსაც სურთ გადააქციონ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ დიდ მიწათმოქმედების ქვეყნად. ჩვენ უნდა განვავითაროთ მრეწველობის ყოველივე დარგი, რადგან საკმაო რესურსები გვაქვს არა მარტო აგრარული ტიპის მეურნეობის განვითარებლად, არამედ უმაღლეს მრეწველობისთვისაც.

# სავაჭრო კავშირის გაძლიერება უცხოეთის ფირმებთან.

ნავთის სინდიკატის წევრი ლომოვი და გამგეობის წევრი ცუკერმანი გაემგზავრნენ საზღვარ გარედ უცხოეთის ფირმებთან სავაჭრო კავშირის გაფართოებისა და ნავთის პროდუქტების გასანაღდებლად გარეშე ბაზარზე.

# ამხ. რაკოვსკის მისალმება საჰაერო ექსპედიციას.

საჰაერო ექსპედიციამ მიიღო რაკოვსკისაგან ირკუტსკის მისამართით გაგზავნილი შემდეგი დეპეშა:

„სალამი მოსკოვ—ჩინეთის ავიო—ექსპედიციის მონაწილეებს, გისურვებთ მიზნის სასურველად მიღწევას.

რაკოვსკი".

# ჰაეროსადგური.

კიევში დაიწყო ჰაეროსადგურის მოწყობა სამგზავრო თვითმფრინავებისათვის. შენდება სანიშნოები გზის გასანათებლად და თვითმფრინავების ჩამოსაშვებ ადგილის მაჩვენებლად.

# ნათესების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში.

ივნისის პირველ ნახევარში მოსულმა წვიმებმა მეტად კარგი გავლენა მოახდინა ნათესებზე. მაგრამ ტემპერატურის მხრივ მიმდინარე თვე ვერ იყო მაინცა და მაინც კარგი. საერთოდ ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა ივნისის განმავლობაში.

# ძმური ხელი.

მეკითონე მუშათა კავშირის ცეკამ გადასდო დამატებით 10.000 მანეთი ჩინეთის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ.

# ბამბის შესყიდვა ამერიკაში.

სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატმა შეიძინა ამერიკაში 36 მილიონი დოლარის ბამბა.

ბამბის ერთი ნაწილი დატვირთულია 25 გემზე, რომლებიც იგზავნებიან მურმანსკის მიმართულებით.

# პურის მავნებლები.

ახალქალაქის მაზრაში გავრცელებულია პურის მავნებლები. ერთ კვადრატ არშინზე მოდის 65 მავნებელი, ზოგიერთ ალაგზე—100-ც.

# სეტყვა.

24 ივნის ახალქალაქ. მაზრაში მოვიდა ძლიერი სეტყვა. სეტყვა წონით უდრიდა 40 გრამს. გაგრძელდა 20 წუთი მიწა დაფარულია. ზარალი დიდია, ნათესები საბოლოოდ განადგურებულია.

აღმასკომი გავსებულია გლეხებით, რომლებიც მოითხოვენ დახმარებას.

# ᲢᲔᲠᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ.

თავი და თავი, რაც უნდა ჰქონდეს ინსტრუქტორ მეთაურს იმისთვის, რომ კარგად მოამზადოს თავისი ხელქვეითი მეომრები,—ეს არის უბრალო, გასაგები ენა, რომლითაც უნდა აწარმოოს მან სწავლება.

ავიღოთ მაგალითი: ტერარმიელს ვერ წარმოუდგენია რა არის ტრაექტორია (გასროლილ ტყვიის გზა ჰაერში). როგორ უნდა აუხსნა? მეთაურმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მეომარს გაუჭირდება ჰაერში მრუდე ხაზის წარმოდგენა, რომელსაც ის ვერ ხედავს და ხელის შეხებაც არ შეუძლია.

თემიდან მოსულ გლეხ ტერარმიელს ნაკლებათ სჩვევია წარმოდგენა. მას მეტნაწილ დ საქმე ჰქონია ისეთ საგნებთან, რომლებიც შეიძლება ხელში აიღო, დაათვალიერო, შეაბრუნ შემოაბრუნო, ხოლო ხშირად უსუნო და გემო გაუსინჯო.

ai ასეთ მეომარს რომ ტრაექტორია აუხსნა—ეს გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ შაშხანისა და მისი ნაწილების ახსნა. ასეთ შემთხვევაში მეთაურს მოუხდება მიმართოს თვალსაჩინო მაგალითს. მან უნდა აჩვენოს ტყვიის გასროლის დაუნახავი მრუდე ხაზი ისე, რომ მეომარმა დაინახოს მსგავსი ხაზი საკუთარის თვალებით.

ამისათვის უნდა აიღო პატარა ქვა, შემოახვიო ქაღალდი (ქაღალდი რომ არ მოშორდეს, ძაფით უნდა შეჰკრა), დადგე რომელიმე კედლის ან ღობის ახლოს და უბრძანო მეომრებს თვალყური ადევნონ შენს მოქმედებას.

შემდეგ უნდა გაისროლო ქაღალდში გახვეული ქვა ისე, რომ მან ასწეროს ჰაერში მრუდე ხაზი.

შემდეგ უნდა გააფრთხილო მეომრები, რათა გაიყვანონ კედელზე ის ხაზი, როგორითაც წავა გასროლილი ქვა და კვლავ გაიმეორო ქვის გასროლა.

ამის შემდეგ უნდა გამოიწვიო ერთი მეომართაგანი, მისცე ხელში ცარცი ან ნახშირი და დაახაზვიო კედელზე ქვის გასროლის გზა.

ამ ამოცანას უსათუოდ აასრულებს მეომარი. რასაკვირველია კედელზე გამოხატული ხაზი არ იქნება ისეთივე მანძილისა და სიდიდის, როგორც გამოხატა ქვამ გასროლის დროს, მაგრამ ეს არაფერია, მთავარი ისაა, რომ მეომარი გამოიყვანს ცარცით მრუდე ხაზს.

მეთაურმა უნდა აუხსნას მხოლოდ, რომ ტყვია გასროლის დროს იძლევა ასეთსავე მრუდე ხაზს, მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ.

ი. ბარ.

# ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ.

ავიაცია, გარდა დამოუკიდებელ საბრძოლო მოქმედებისა ჰაერის მტრის წინააღმდეგ, მიწის მტრების შემუსვრისა ტყვიამფრქვევის ცეცხლით და ბომბებით,—სხვა სამსახურსაც უწევს ჯარებს. ავიაციის ამოცანებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ძიებას.

ძიება შეიძლება იყოს **შორი**, **ღრმა**, როცა თვითმფრინავები იგზავნებიან, მაგალითად, მტრის ზურგში 200-250 კილომეტრის მანძილზე, რათა გამორკვეულ იქნას, თუ სად აჯგუფებს მტერი თავის მთავარ ძალებს ან საით აგზავნის მათ. მფრინავი-მოთვალთვალე მტრის შემჩნეულ მწყობრებს, მატარებლებს და მთავარი ძალების მოთავსების ადგილს გადაიღებს რუქაზე. მაღლიდან გზები კარგად მოსჩანან. მოძრავი მწყობრის სიდიდის განსაზღვრა შეიძლება მისი სიგრძის მიხედვით. ხოლო სიგრძე იძლევა წარმოდგენას ძალის შესახებ. ცხადია ზურგის სიღრმეში მტერი უმთავრესად ისარგებლებს კარგი გზებით: შარა გზით, რკინის გზით და სხვა. მაშასადამე მოთვალთვალის მთავარი ყურადღება შორი ძიების დროს მიქცეულ იქნება ასეთი გზებისაკენ.

მტრის მთავარი ძალების მოძრაობის, ან მოთავსების და აგრეთვე გამაგრებულ პოზიციების შესახებ ყოველგვარი ცნობა ესაჭიროება მთავარ სამხედრო უფროს (არმიის სარდალს). გაიგებს რა, თუ რა ძალები ჰყავს მტერს, საით მიმართავს მათ და რა ადგილას აპირობს მოგერიების წარმოებას,—სარდალს გამოაქვს საბრძოლო გადაწყვეტილება ან შეაქვს საჭირო შესწორება წინად მიღებულ გადაწყვეტილებაში.

იმ ნაწილებს კი, რომლებიც უშუალოდ ახლოს იმყოფებიან მტერთან, ესაჭიროებათ უფრო დაწვრილებითი ცნობები, მაგალითად, თუ სად იმყოფება მტრის მოწინავე ნაწილები, რეზერვი, არტილერია, აქვს თუ არა მას გამაგრებული პოზიციები, სახელდობრ სად და სხვა. ამ მიზნით თვითმფრინავები იგზავნებიან ახლო ძიებაში 30—35 კილომეტრის მანძილზე მტრის ზურგში.

აქ მძიებელ ჯგუფს აინტერესებს არა მარტო კარგი გზები, არამედ ბილიკებიც, არა მარტო დიდი მწყობრები, არამედ ცალკე ასეულები, ოცეულები და იარაღებიც. ხშირ იყო ომში ისეთი მაგალითი, რომ კარგად დაფარულ მტრის ნაწილები, შტაბები, არტილერია და სხვა მოძრაობდენ ახლად გაყვანილ ვიწრო გზებით, რომლებიც იყრებოდა დანიშნულ ადგილზე. ახლო ძიებაში თვითმფრინავები გაიგზავნებიან არა ნაკლებ 3—ჯერ დღეში.

ბოლოს არის აგრეთვე, **ბრძოლის ველის დაზვერვა**, რომელიც განუწყვეტლივ სწარმოებს ბრძოლის დროს, იმ მიზნით, რომ გაიგოს თუ სად უფრო უმჯობესია ეკვეთო მტერს საით გზავნის ის თავის ძალებს სადაა მისი დასაყრდნობი წერტები, ბლინდაჟები, ტყვიამფრქვევები, იარაღები და სხვა. დიდათ სასარგებლოა გაიგო, თუ სად იმყოფება მტრის ფრთები და აგრეთვე თუ საიდან მოელის საფრთხე ჩვენს ფრთას, რომ დროზე მიიღო საწინააღმდეგო ზომები.

პ.

# ᲐᲛᲮ. ᲡᲝᲙᲝᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ.

**მიმდინარე წლის მოსავალს კარგი პირი უჩანს.—სახელმწიფო ბიუჯეტი ძლიერდება.—„ჯიბით სოფლისაკენ".—ჩვენი საკუთარი ძალებითაც შევსძლებთ ჩვენი მეურნეობის აღორძინებას.**

**კარგი მოსავალი.**

მოხსენებაში სოკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მოსავალი 800—900 მილიონი ფუთით მეტი იქნება გასულ წელთან შედარებით. სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგებიც წასულ წელთან შედარებით 50—60 პროცენტით გაიზარდა.

**ბიუჯეტი იზრდება.**

ჩვენ ვუახლოვდებით ომამდე არსებულ დონეს. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა 1 მილიარდ 300 ათასი მანეთიდან 2 მილიარდ 500 ათას მანეთამდი. 1925—26 წელში ის გასცილდება 3 მილიარდ მანეთს. ქვეყნის ორგანიზმის გაჯანსაღებასთან ერთად უნდა მივაქციოთ გაძლიერებული ყურადღება წითელი არმიის განმტკიცებას.

**„ჯიბით სოფლისაკენ."**

მასების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში საფინანსო პოლიტიკა



ამხ. სოკოლნიკოვი.

უნდა მიბრუნდეს „ჯიბით სოფლისაკენ".

გაძლიერებულ უნდა იქნას სოფლო ბიუჯეტი. სოფლო ორგანოებმა უნდა ეცადონ აქტიურად ჩააბან გლეხთა მასები ოლქის საფინანსო მუშაობაში ბიუჯეტის კარგ ნიადაგზე დაყენების მიზნით.

**გადასახადები.**

საგადასახადო საქმეში ჩვენ შეურყევლად უნდა გავატაროთ გადასახადების დაკლება.

გადასახადის უმტკივნეულოდ ჩატარებისათვის გაუმჯობესებულ უნდა იქნას საგადასახადო აპარატი, რომელმაც უსათუოდ თავი უნდა შეიკავოს გადამხდელთა კანონიერ უფლებათა დარღვევისაგან.

კერძო ვაჭრობის დაბეგვრის საქმეში აუცილებელია შეფარდება საგადასახადო კანონთან. საბჭოთა კავშირისათვის არ არის ხელსაყრელი კერძო სავაჭრო დაწესებულებების დანგრევა, რამდენადაც მათი არსებობა დასაშვებია დღევანდელ სამეურნეო სისტემაში.

არა საგადასახადო შემოსავალმა ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო ძალთა განვითარებას.

**სამუშაო ხელფასი.**

ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგში რეალური ხელფასი ჯერ კიდევ ვერავიდა ომამდე არსებულ დონემდი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამოცანა გადაჭრილ იქნება 1925-26 წელში, პირველ ყოვლისა ფასების შემდეგი დაკლების საფუძველზე.

**მოსავლის რეალიზაცია.**

ერთი უმთავრეს პრაქტიკულ ამოცანათაგანი ახლო დროში—ეს არის მოსავლის რეალიზაციის კამპანიის ჩატარება. პურის შესყიდვის ამოცანას ჩვენ უფრო ადვილად ავასრულებთ, ვინემ წასულ წლებში. კარგი მოსავლის გამო დღევანდელი ფასები პურზე დაკლებულ უნდა იქნას, მაგრამ ისე, რომ არ დაირღვეს სასოფლო მეურნეობის ინტერესები.

**საკუთარი ძალებით.**

კავშირის შემდეგი განვითარება უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდოდა წინ, რომ მას შესძლებოდა უცხოეთის კრედიტის გამოყენება. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ უნდა დავემყაროთ მხოლოდ ჩვენს საშუალებებს. ჩვენ უცხოელი კრედიტის დაუხმარებლადაც შევალთ საერთაშორისო სამეურნეო სისტემაში პურის, ნავთისა და ტყის გატანის საშუალებით.

ფინანსიურმა მომუშავეებმა უნდა ებრძოლონ უვიცობას, სიღარიბეს, ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობას და ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირს ჩქარი ნაბიჯით წავიდეს სამეურნეო და კულტურულ აღორძინების გზაზე.

# ცვალებად-არმიელები წითელ ყაზარმაში

## მოგვეცით საათი და განათება.

5-თე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის საყარაულო შენობებში არა გვაქვს საათი, მიუხედავად ამისა თავს არავინ იწუხებს.

ხშირად არის საყვედურები, რომ გუშაგები ვერ იცვლებიან თავის დროზეო, მაგრამ რა ქნას ყარაულის უფროსმა ან ასეულის მორიგემ, თუ საშუალება არ ექნებათ გაიგონ დრო.

ამას თან ერთვის ის გარემოებაც, რომ ხშირად უსინათლოდაც ვზივართ. ელსადგური ვერ გვაწვდის შუქს სისტემატიურად. ზოგჯერ 9—10 საათზე ჩაქვრება ხოლმე და შემდეგ იძულებული ვხდებით საკუთარი ფულით (რაც ხშირად არ მოგვეპოება) შევიძინოთ სანთლები.

განსაკუთრებით ძლიერ გვიშლის ხელს ეს მოვლენა საგუშაგოებზე.

დროა მიექცეს მას სათანადო ყურადღება. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია.

მოგვეცით ერთი საათი. მოაწესრიგეთ განათების საქმე.

სამხკორი სგ. ბოგველი.

## მოაწყვეთ თეატრი და კლუბი.

მეხუთე ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებამდე, ლეგიონის არმიელები მოკლებული ვიყავით თეატრსა და კლუბს. საკუთარი არ გვქონია და გარნიზონის კი ეს სამი თვეა რაც დაიკეტა. უკანასკნელად მიღებული იქნა ყოველგვარი ზომები და ლეგიონის სკოლის შენობაში მოვაწყვეთ მშვენიერი კლუბი და ბიბლიოთეკა, რომლითაც ძლიერ დაინტერესებული არიან ახალწვეული ცვალებადელები; მათ ყოველთვის ნახავთ ბიბლიოთეკაში და კითხულობენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

სამსახურით და არსებულ სამხედრო დისციპლინით კმაყოფილი არიან. ამის შესახებ არა ერთხელ განუცხადებიათ თავისი პირით.

მეცადინეობა მათთან ნაწილობრივად უკვე დაიწყო; შეთვისებით მშვენივრად ითვისებენ ყველაფერს, მეტადრე დიდ მონდომებას იჩენენ სოფლებიდან მოსული ცვალებადელები.

ახლად მოწყობილ კლუბში 20 ივნისს შესდგა პირველი ათასეულისა და სკოლის კრება, ცვალებადელებთან ერთად. გაკეთებული იქნა მოხსენება საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე; შემდეგ კი გაიმართა წარმოდგენა.

იმედია კლუბი იმუშავებს როგორც საჭიროა და თავის წვლილს შეიტანს ცვალებადელთა მომზადების საქმეში.

წ. არმ. ლ.

## ტერშეკრებაზე.

(მე-6-ე ლეგ. მე-3-ე ასეული)

(გაგრძელება)

—ჰაი დედასა, რა გემოზე შეახრამუნებს—ამბობს ერთი ცვალებადელი.

ასტყდა საერთო სიცილი.

—ჩვენ კი წამოგვყარა იმ ოხერმა-და—ჯავრობს მეორე.

—აბა ამხანაგებო დაწექით ყველამ—ეუბნება მათ ასეულის უფროსი—ხვალ საღამოს შვიდ საათზე დანიშნულების ადგილას უნდა ვიყვეთ, ჩვენი უფროსი ამხანაგები მოუთმენლად მიგველიან.

—ხვალ უფრო ადრე ვიქნებით იქ, ამხ. ასეულის თავო—უპასუხებს ერთი ძირითადი წითელი მოლაშქრე.

მეორე დღეს საღამოს მიუახლოვდით ჩვენი მგზავრობის მიზანს.

მცხოვრებლები გვათვალიერებენ.

მოიღრუბლა. ცოტა წამოწინწკლა კიდეც. ფეხს მოუჩქარეთ. რამოდენიმე წუთი კიდევ და ასეული მხიარული სიმღერით მიუახლოვდა წითელ ყაზარმებს.

—მე-3-მე ასეულო სმენა! მარცხნივ სალამი!—გაისმა ასეულის უფროსის განკარგულება.

მოგვესალმა ლეგიონის უფროსი, გამოგვკითხა სათითაოდ როგორ ვცხოვრობთ, როგორ ვიმგზავრეთ და სხვ. აქვეა სხვა ამხანაგებიც, რომლებიც კმაყოფილნი არიან ჩვენი მისვლით. გაიბა საუბარი, ერთიმეორის გაცნობა, რის შემდეგ გაგზავნილ იქმნენ აბანოში და დაურიგდათ ტანთსაცმელი და ლოგინის მოწყობილობა. დიდი ხნით მიძინებული [ყაზარმა გამოცოხლდა, ახმაურდა.

მეორე დღეს მოგვემატა ჩამორჩენილი ამხანაგები, რის შემდეგ მთელი ასეულის ასი პროცენტი ჩვენთან არის და გულმოდგინეთ ეკიდება როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მეცადინეობის შეთვისებას.

ასეულის უფ-პოლიტ-შემადგენლობის და ძირითადი წით. არმიელთა დაუღალავი და ენერგიული შრომით სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალწვეულები კურსის დამთავრების შემდეგ საკმაოდ გათვითცნობიერებულნი დაუბრუნდებიან კულტურულად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ დუშეთის მაზრას.

ნ. ახათიანი.

## ჩვენი მუშაობა ცვალებადელთა შორის.

მე-5-ე ლეგიონის მე-3-ე ათასეული.

მე-5-ე ლეგიონის მე-3-ე ათასეულმა 15 ივნისს მიიღო 1902 წელში დაბადებული ცვალებად შემადგენლობა. შეკრება მოხდა სრულად უკლებლივ, გარდა ავადმყოფებისა.

დღიდან შეკრებისა ცვალებად შემადგენლობასთან 18 ივნისამდე წარმოებდა ყაზარმული ცხოვრების და წესრიგის გაცნობა. 18 ივნისიდან კი დაიწყო მეცადინეობა ლეგ-შტაბიდან გადმოგზავნილ გეგმის მიხედვით და სისტემატიურად ტარდება ყოველ დღე.

ახალწვეულები ხალისიანად ეკიდებიან მეცადინეობას და ამჩნევათ გულმოდგინეობა. ცვალებად შემადგენლობას ურევია წერა-კითხვის უცოდინარების სულ მცირე რიცხვი. მათთან სამეცადინოთ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოავლინა ერთი მასწავლებელი, რომელიც შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

საექიმო დახმარების მხრივ ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებამ გაგვიხსნა საბჭოთა ამბულატორიასთან ცალკე ქსენონი, სადაც იქნება ექიმი და ერთი ფერშალი განსაზღვრული საათებში წითელ-არმიელების გასასინჯათ და სათანადო დახმარებისათვის.

სანიტ-საათის ჩატარება დაევალა ადგილობრივ ექიმს ყოველ კვირაში ერთხელ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაგვინიშნა აგრეთვე კლუბის ხელმძღვანელი თავისი ხარჯით და მოგვცა საჭირო თანხა კლუბ—სამკითხველოს მოსაწყობად. საერთოდ ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას გვიწევს ყოველ გვარი საქმეში.

სამხკორი ყულისკარელი.

# ჩვენი ნაწილების მუშაობა განაკში.

## პოლიტწრის მეცადინეობით დაინტერესდენ.

არტ-ლეგ. მეოთხე ბატარეია.

ჩვენს ბატარეიაში გაცხოველებული მუშაობაა ყველა დარგებში. სამხედრო მეცადინეობის გარდა არმიელები ძლიერ არიან დაინტერესებული ბატარეიაში არსებული პოლიტწრის მეცადინეობითაც.

ის დრო, რომელიც დათმობილი აქვს წრეს სამეცადინოთ თითქმის არ აკმაყოფილებს არმიელებს და ხშირად აძლევენ პოლიტხელს შეკითხვებს, შესაძლებელია თუ არა მეტი საათები დაგვითმონო.

არმიელები ძლიერ ეტანებიან ბროშურებსა და პოლიტიკური წიგნების კითხვას. ყველა გაურკვეველ საკითხების გამოსარკვევად გარბიან პოლიტხელთან, რომელიც დაუზარებლად უხსნის მათ ყველაფერს.

წ. არმ. პ. ბურკაძე.

## ჩვენი ქვემეხი.

ჩვენო საველე ქვემეხო<br>
ლულაო, დაზგა და ფარო,<br>
მტრის დამარცხებას ვაპირებ<br>
შენ უნდა დამეხმარო.

გასწურე მაგრად ყუმბარა,<br>
ისროლე დაატრიალე,<br>
მუშის და გლეხის ორგული<br>
მოსპე და გაატიალე.

ასწი დასწიე მქნევარი<br>
მშრომელი ხალხის ნებაზე<br>
რომ გასქდეს შენი ყუმბარა<br>
ბურჟუაზიის კეფაზე.

გამაგრდი ჩვენო ქვემეხო,<br>
მაგარი გქონდეს შენ ღერძი,<br>
რომ შევასრულოთ პირნათლად<br>
ჩვენი ბელადის ანდერძი.

იქუხე მარად მტრის თავზე,<br>
შენ გმირის პანორამაო,<br>
მშრომელთა სისხლის მწოველებს<br>
რომ დაავიწყდეთ ჭამაო.

სამხკორი. ვ. ლოლომაძე.

## ორი სურათი.

ერთი ეწყობა—მეორე ფუჭდება.

წითელ-არმიისა და ფლოტის სახლზე დიდი შრომა დავხარჯეთ.

ეს მეტად სასიამოვნოცაა; მერე რა კარგათ მოუწყვიათ ბაღი!—მშვენიერი ხეივნები, ყვავილები, საუკეთესო აუზი ლამაზი შადრევანით, საიდანაც განუწყვეტლივ ამოჩუხჩუხებს წყალი. სისუფთავე და სიფაქიზე-პირდაპირ გადამეტებული! წარმოიდგინეთ პაპიროსის ნაწვავიც ვერ გადაგიგდიათ, ამას უხერხულად სთვლით და ეძებთ აქა იქ მდგომ ლამაზად შეღებილ ყუთებს.

ასეთი რამის წინააღმდეგ ვინ წავა. ვის არ ესიამოვნება მშვენივრად მოწყობილ ბაღში გასეირნება, დასვენება, მაგრამ ამის მნახველი რომ მოხვდეს ჩვენ სამხედრო ჰოსპიტალშიგაოცკვირდება. აქ სულ სხვა სურათია.

ჰოსპიტალის ბაღი, ოდესღაც კარგად მოწყობილი, სულ მივიწყებულია. თუ არმიის და ფლოტის სახლის ბაღი ყოველ დღე (შეიძლება დღეში ორჯერაც) ირწყება, ჰოსპიტალის ბაღში მცენარეები ხმება და ოხრდება სიმდიდრე. ნუ თუ არ შეიძლება ჰოსპიტალის ბაღი დღე გამოშვებით მაინც მოირწყას?

ჰოსპიტალში სისუფთავეც არ არის დაცული. ზოგ ადგილას ძალიან სიბინძურესაც შეხვდებით. იქ არა ერთი ათეული ავადმყოფები წევან, რომლებსაც აუცილებლად ესაჭიროებად სუფთა, გამშვენიერებული ბაღი და კარგი ჰაერი.

შემჩნეულია, რომ ჰოსპიტალიდან ზოგი ავადმყოფები მოურჩენალი გარბიან, ზოგი მისვლისთანავე უარს ამბობს იქ ექიმობაზე.

საინტერესოა, რისთვის ხდება ეს.

გ. უ—ძე.

## სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

გამუდმებულმა წვიმებმა შეგვიშალა ხელი დაგვეთვალიერებია და გავცნობოდით ჩვენი ბანაკის მიდამოებს, ახლო მდებარე სოფლებს და იმ ადგილებს, სადაც ჩვენ მოგვიხდება მუშაობა.

როგორც იყო გვეღირსა მზიანი დღე და ჩვენც დავეჩქარეთ გვესარგებლნა ამ დღით.

პირველად გადავწყვიტეთ ადგილობრივ სიძველეთა გაცნობა.

გავედით ბანაკიდან და ავიღეთ მიმართულება დასავლეთით. მალე ხეებთა შორის გამოჩნდნენ კრამიტით დახურული სახლები.

შევედით სოფელში. მოსახლეობა გარდა რამდენიმე კომლისა რუსებია. გვიკვირს; რამ გადმოასახლა ეს ხალხი ვორონეჟის და კურსკის გუბერნიიდან ამ სიშორეს? პასუხს იძლევა ერთი მოხუცებული რუსი.

—ნიკოლოზ მეფის პაპამ (ალექსანდრე 2-ე) გადმოგვასახლა აქეთ. ჩვენ არ გვინდოდა წამოსვლა, ბევრი დაიხოცა გზაში, ბევრსაც აწყინა შეუჩვეველმა ჰავამ. დაგვასახლეს აქ და გვამუშავებდნენ ჯარისთვის. ეხლა შევეჩვიეთ აქაურობას.

მართლაც 75 წლის ცხოვრებას საქართველოში მათთვის დაუმჩნევია თავისი კვალი; ბევრმა მათგანმა მშვენივრად იცის ქართული და გადაუღიათ ქართველების ზნე-ჩვეულებანი.

—რა დრო იყო—ამბობს კურსანტი—ერთი კაცი იყო გამგე უდიდეს ქვეყნის ბედის, რასაც მოისურვებდა იმას იზამდა, ეხლა კი სხვაა, ეხლა არის კოლექტიური ნება, თვით ხალხი განაგებს თავის ბედ-იღბალს.

მივუახლოვდით ეკლესიას, რომელიც ამართულია დაცემულ ადგილზე და გაჰყურებს ალგეთის ხეობას. დავათვალიერეთ. გამოირკვა წარწერებიდან, რომ იგი არის აშენებული 1020 წელს. ეკლესია კარგათ არის შენახული და დიდებული შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი ლამაზი და შეუდარებელ ჩუქურთმებით.

დავყევით გზას და ჩავედით ალგეთის ხეობაში. მთელი სოფელი, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მოხუცი, გამოსულიყო სამუშაოდ ბოსტნებში.

აქაურ მცხოვრებთ მიწა ძალიან ცოტა აქვთ, მესაქონლეობა, რომლებსაც ისინი მისდევენ, ვერ აკმაყოფილებს მათ, საქონლის სიმცირის გამო და იძულებულნი არიან მიჰყონ ხელი მებოსტნეობას.

გავმართეთ ბაასი გლეხებთან, უჩივიან მიწის სივიწროვეს: ეს არის მთავარი თემა მათი ლაპარაკის.

—აი მიწები ბორჩალოსკენ არის!—ამბობს ერთი ახალგაზრდა.—იქ რომ დაგვასახლონ, ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს; ერთ წლიწადში სამოთხედ გადავაქცევთ იქაურობას.

ჩვენი კურსანტები კი ამ დროს შერეოდნენ გლეხებს და შველოდნენ მათ ბოსტნების მორწყვაში.

ე. ხუციშვილი.

## პასუხად ამხ. გულნატკენს.

4-ხე ლეგიონი.

8 ივნისის გაზ. „წითელ არმიელში“ მოთავსებული იყო ამხ. გულნატკენის წერილი მეოთხე ლეგიონის კლუბის მუშაობის შესახებ. კორესპონდენტი ეხება საკლუბო მუშაობის სისუსტეს და სრულიად არაფერს ამბობს იმ მიზეზებზე, რომლებიც ხელს უშლიდენ მუშაობის ნორმალურ მსვლელობას ასე ზერელე ფაქტის აღება ჩემის ფიქრით დაუშვებელია. შეუძლებელია რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები არ ჰქონოდა ამ გარემოებას და ეს მიზეზებიც ასეთი იყვენ: 1) კლუბის ქონების მიღება—გადაბარება ახალი გამგისათვის, 2) ახალი კლუბის უფროსი პირველად საჭირო იყო გასცნობოდა წითელ არმიელთა მასას, 3) უფ-პოლიტ შემადგენლობის სემინარები, რომელზედაც კლუბის გამგეს 8-18 საათამდე უხდებოდა ყოველ დღიურად მუშაობა, ბრძანებაც იყო სემინარების დროს შეწყვეტილიყო საკლუბო მუშაობა და 4) სამი კვირის განმავლობაში მოკლებული ვიყავით სინათლეს.

აი ყველა ის მიზეზები, რომლებმაც მცირე ხნით შეაჩერეს კლუბის საქმიანობა. არავითარ გულგრილობასა და საქმის უცოდინარეობას კლუბის გამგეობის მხრივ ადგილი არ ჰქონია და არა აქვს.

კარგი იქნება ამხ. გულნატკენი შემდეგში მაინც საფუძვლიანად შეისწავლიდეს მოვლენებს მათი გამომწვევი მიზეზებით და ასე გამოამჟღავნებდეს პრესაში. ასე ზერელე წერა არ შეფერის ავტორს.

სამხკორი ხან-მანი.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

**2-ე არტლეგიონის მნეს საყურადღებოთ.**

ჩვენი ლეგიონის წითელ-არმიელები ხშირად საყვედურებს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ლეგიონში დღემდის არ არსებობს სადალაქო. არმიელებს უხდებათ თავისივე ფულით(ისიც როდესაც აქვთ) გაპარსიონ პირი კერძო დალაქებს.

ამასთანავე საჭიროა შეგვიკეთონ ფეხსაცმელები, სანამ თლად არ გაფუჭებულან.

ყველა ამას დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება სამნეო ნაწილის უფროსმა, რომ ბოლო მოეღოს არმიელების საყვედურებს.

სამხკორი ს—ჩა.

## ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლა.

ჩვენი სკოლის საბანაკო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში სდგას. უკვე დიდი ხანია დაიწყო ყოველგვარი მეცადინეობა, რომლის გეგმა წინასწარ იქნა შემუშავებული. თავის საზაფხულო სამოქმედო გეგმაში სკოლა დიდი ყურადღებით ეპყრობა ადგილობრივ გლეხობაში მუშაობის სწარმოების საქმეს. გლეხთა შორის მუშაობის საწარმოებლად სკოლიდან მიდის ახხანაგების მთელი წყება, რომელსაც გარდა სოფლის უჯრედებში მოხსენების გაკეთებისა, ევალებათ სოფლის ცხოვრებისა და მისი პირ-ვარამის გაგება. ჩვენი ძალები უმართავენ გლეხებს წარმოდგენებსაც, რომლებსაც მთელი სოფლის გლეხები ესწრებიან და სიხარულით ეგებებიან კურსანტების ასეთ საქციელს. გარდა ამისა უწევენ დახმარებას ქოხ-სამკითხველოებს. სკოლის ბიბლიოთეკამ უძღვნა სხვა და სხვა წიგნები და ბროშურები საშეფო სოფელს.

გლეხებთან უფრო დაახლოებისათვის მიდიან კურსანტები სამუშაოზედ დასახმარებლად. კედლის გაზეთიც სისტემატიურად გამოდის.

სარედაქციო კოლეგიისაც შემუშავებული აქვს ზაფხულის მუშაობის გეგმა.

ქვის ჯვარელი.

## ლიტერატურული გასამართლება.

**პირველი ლეგიონის მეორე ასეული.**

23 ივნისს საღამოს ამოკითხვის შემდეგ ასეულის ლენინის კუთხეში მოწყობილი იქნა გასამართლება. გასამართლებას დასწრო ასეულის მთელი შემადგენლობა. გასამართლებული იქნა გაზეთ „წითელ არმიელი"ს № 55-ში მოთავსებული ამხ. თელიას მოთხრობის „მეოცნებე გუშაგის" გმირი. ასეთ შემთხვევას ჩვენს ასეულში პირველად ჰქონდა ადგილი. ახალწვეულები შინაარსის კითხვას გულგრილად უცქეროდენ, მაგრამ როდესაც აუდიტორიიდან საბრალმდებლო სკამზედ დაისვა წითელ-არმიელი, მაშინ ცქვიტეს ყურები.

ხელმძღვანელი შეეკითხა არმიელებს, თუ ვის სურდა ბრალმდებლად გამოსულიყო. აუდიტორიიდან გამოჩნდა რამოდენიმე მაღლა აწეული ხელი. ოთხმა წითელ-არმიელმა დაიჭირეს თავისი ადგილი. ასევე მოხდა დამცველებზედაც. აირჩიეს ნაფიცი მსაჯულები.

შეუდექით საქმეს. ახალწვეულები ვერ ახერხებენ კარგად დასდონ ბრალი, ეჩნევათ სისუსტე. უკანასკნელად გამოდის მეთაური და ბრალმდებლები გამაგრდენ.

ლაპარაკობენ დამცველებიდან. აქაც იგივე სისუსტეა და ჩაერია პოლიტხელი. დამცველებიც გაიმართენ წელში. საბოლოო სიტყვა მიეცა ერთ ბრალმდებელს და დამცველს.

ბრალმდებლები მოითხოვენ როგორც საბჭოთა ხელისუფლების მოღალატე თავისი მოქმედებით, მეოცნებე გუშაგი, დასასჯელია სასტიკათ.

დამცველებს მოყავთ საბუთათ საგარნიზონო წესდება და უთითებენ, რომ შესაძლებელია როდესაც ძალიან ცივა ან ცხელა გუშაგი საგუშაგოზედ იდგეს ერთი საათი, და ამ შემთხვევაში სამი ღამის უძინარი „სტეფანე" ორი საათის მაგივრად ერთი უნდა დაეყენებიათ რომ არ დასძინებოდაო. დამცველები მოითხოვენ სტეფანეს მცირე სასჯელით დასჯას, მხოლოდ საბრალმდებლო სკამზედ დაისვას ასეულის უფროსი-ო.

სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად.

ათი წუთის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე კითხულობს შემდეგ განაჩენს:

„თავისი შეგნებული მოქმედებით მთელი ასეულის მოღალატე სტეფანე იქნეს დასჯილი უმაღლესი რევოლიუციონური კანონებით ანუ დახვრეტით-ო"

წითელ-არმიელებში განაჩენმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შეიქნა ჩოჩქოლი. აუდიტორია განაჩენს პროტესტით შეხვდა. ის დაჟინებით მოითხოვს განაჩენი მოხსნილ იქნეს და ხელმეორედ მოხდეს აღნიშნულ მოთხრობის გმირის „სტეფანეს" გასამართლება.

იმედია წითელ-არმიელთა უკმაყოფილებას ჩვენი ასეულის მეთაურები მოსპობს და ამავე გასამართლებას მოაწყობს ხელმეორედ.

სამხკორი კახელი.

## ამბები სოფლებიდან.

**ტყის დღე.**

რაჟის აღმასკომის მეთაურობით მაზრის თემებში ჩატარდა ტყის დაცვის დღე. აღნიშნულ დღეს, გლეხთა ყრილობებს განმარტება მიეცათ ტყის დაცვა-მოვლის მნიშვნელობის შესახებ.

**ჭლექის სამდღიური.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა აირჩია მაზრაში ჭლექის სამდღიურის ჩამტარებელი კომისია.

**საექიმო პუნქტი.**

სოფ. ყარაზახში (ახალქ. მაზრა) სამაზრო აღმასკომმა გახსნა საექიმო პუნქტი.

**თეატრი სოფლად.**

სოფ. ახალქალაში (ლეჩხუმში) ადგილობრივი გლეხკომის მეთაურობით და მასწავლებელთა დახმარებით გლეხებმა ააშენეს საზაფხულო თეატრი.

**ხიდის აგება.**

უკვე დამთავრდა ორბელის (ლეჩხუმი) ხიდის აგება მდ. ლაჯანურზე.

**ახალი აგარაკი.**

რაჭის სამაღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სოფ. შუაუბანში ჩეავე წყლის აგარაკი. ამ საქმისთვის აღმასკომმა ამთავითვე გადასდო 200 მანეთი.

## შეცდომის გასწორება.

№ 139-ში 24 ივნისიდან, „სასოფლო-სამეურნ. გადასახადის შესახებ" წერილში მე-3 სვეტში—23 სტრიქ. ზემოდან **იყო დაბეჭდილი:** „ეს დაკლება დაეტყო საგრძნობლად საქართველოს სასოფლო მეურნეობასაც. ის მოხმარდება გზების შეკეთებას, სასკოლო საქმეს და სხვა".

**უნდა იყოს:**

„ეს დაკლება დაეტყო საგრძნობლად საქართველოს სასოფლო მეურნეობასაც. წელს უნდა იქნეს აკრეფილი 2 ნახ. მილიონი მანეთი, შარშან კი გადასახადი 4 მილიონ მანეთს უდრიდა.

იმავე წერილში „მე-6-ე სვეტში მე-12-ტე სტრიქონში **იყო დაბეჭდილი:** „მიწის ერთ ქცევაზე, საქონლის უნდა იქნეს აკრეფილი 2 ნახ. მილიონი მანეთი, შარშან კი გადასახადი 4 მილიონ მანეთს უდრიდა".

**უნდა იყოს:**

მიწის ერთ ქცევაზე შეფარდებით, საქონლის უფრო მეტი რიცხვი ჩაითვლება ახალი დეკრეტის ძალით, ვიდრე ეს შარშან იყო.

## ახალი ამბები.

— **პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა ნაციონალურ დივიზიებში.** ახლო ხანში გაიმართება ტფილისში სამხედრო პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებული იქნება ნაციონალურ ნაწილებში საგანმანათლებლო მუშაობის გეგმა.

— **თემაღმასკომების მდივნებთა** მოსამზადებელი კურსები ტფილისში გაიხსნება 1-ლ ივლისს.

— **ახკომკავშირელთა გაზეთის** იუბილეს გადასახდელათ ტფილისის აღმასკომმა გადასდო 300 მან.

— **შემოსავალი ტრამვაიდან.** წარსული თვის განმავლობაში ტრამვაის შემოსავალი უდრის 208.673 მანეთი.

— **ტფილისში მოწყობილ** საზოგადო სამუშაოებზე (საბურთალო ახალშენი და გზა-ტკეცილი ვერის ხიდიდან) ამ ჟამად მუშაობს 450 უმუშევარი.

— **ჯანსახკომმა მიავლინა** სვანეთში სამეცნიერო ექსპედიცია ჩიყვის ავათმყოფობის შესასწავლად. ექსპედიციის ხარჯებისთვის სახკომსაბჭომ გადასდო 3.500 მანეთი.

— **საბავშვო სახლებში** განათლების კომისარიატის განკარგულებით შეწყვეტილია ბავშვების მიღება ა. წ. სექტემბრამდე.

— **შრომის მუზეუმი.** შრომის კომისარიატმა დაამტკიცა შრომის მუზეუმის ახალი გამგეობა. ამხ. ჯიჯაძის თავმჯდომარეობით.

— **ფიზიოლოგიური კაბინეთი.** შრომის კომისარიატმა მიავლინა მოსკოვში პროფესორი ბერიტაშვილი ფიზიოლოგიური ლაბორატორიის მოსაწყობათ, საჭირო იარაღ-აპარატების შეძენის მიზნით.

## ხელოვნება.

— **აკადემიური დრამა კახეთში.** დღეს რუსთ. აკადემიური დრამა მიემგზავრება კახეთში რეჟ. კ. მარჯანიშვილის მეთაურობით. 28 ივნისს დასი გამართავს 1-ლ წარმოდგენას თელავში. ამავე დღეს მოხდება თელავის ახლად აგებულ და კარგათ მოწყობილ თეატრის გახსნა.

— **დღეს მუშათა ცენტრ.** კლუბში გაიმართება სანიტარული წარმოდგენები ჭლექის სამდღიურთან დაკავშირებით.

— **სანიტარული გამოფენა.** დღეს იხსნება, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში სანიტარული გამოფენა, რომელიც ღია იქნება დილის 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 6—8-მდე. წითელ არმიელთათვის და პროფკავშირის წევრთათვის გამოფენაზე შესვლა უფასოა.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**საჰაერო ავტომობილი.**

ამ უკანასკნელ ხანებში თანდა თან მრავლდება ავიაციაში მსუბუქი და პაწია თვითმფრინების რიცხვი. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგ კონსტრუქტორ ტამპიეს მიერ დამზადებული ორ ადგილიანი და ძლიერ მსუბუქი ჰაეროპლანი. მის ნიშანდობლივ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ შეუძლია დაეშვას ძლიერ ვიწრო სივრცეზე და იმოძრაოს გზატკეცილებზე ავტომობილებივით. ამისათვის თვითმფრენს თავისი ჩვეულებრივი



მოტორის გარდა აქვს აგრეთვე პატარა მოტოციკლის ტიპის მოტორი, რომელიც მოთავსებულია ჰაეროპლანის ბორბლებ შორის და ატრიალებს მათ. ჰაეროპლანების ფრთები ისე დამზადებულია, რომ ყოველთვის შეიძლება მათი შეკეცა.

იხილეთ სურათი.

ქალაქის ქუჩებში სამოძრაოთ, ჰაეროპლანის უკანა ნაწილიდან ჩამოიშვება კიდევ ერთი წყვილი ბორბლები, რომელიც ფრენის დროს დამალულია მის კუდში. შორს მოგზაურობისათვის კი ჰაეროპლანს კუდით ამაგრებენ ავტომობილზე და ასეთი სახით შეიძლება მისი მოძრაობა 40 კილომეტრის სიჩქარით.

**რატომ აქვს სისხლს წითელი ფერი.**

ამაზე პასუხს იძლევა ამას წინად დოქტორ რისის მიერ გამოქვეყნებული შრომა. მან სინათლის სხივების ორგანიზმზე მოქმედების შესწავლით აღმოაჩინა, რომ მამრობით სქესის სასქესო უჯრედების მოძრაობას ხელს უშლის ძლიერი განათება. ამნაირადვე სინათლე აჩერებს სასქესო კვერცხის განვითარებას და მცენარეთა უჯრედების გაყოფას.

ძლიერი განათება სხვა მოვლენებსაც იწვევს: კანის ანთებას და სხვა.

ცხელ ქვეყნებში კიდევაც ეშინიათ მზის, განსაკუთრებით ევროპიელებს. ამიტომ არის რომ ინგლისის ჯარები ახალშენებში თეთრ ტანსაცმელებს ატარებენ; ამას გარდა მათ თეთრ ჩაფხუტს და ფეხაკს გამოკრული აქვთ წითელი ფერის სარჩული. ზოგიერთი აღმოსავლეთის ხალხები წითელი ფერის ქუდებსაც კი ატარებენ. რა მნიშვნელობა აქვს ამ წითელ ფერის სარჩულს ჩაფხუტში და სხვაგან? წითელი ფერის შუშასა და მატერიაში ვერ გადიან მზის ყველა სხივები, არამედ მარტო წითელი სხივები. და სწორედ ის სხივები, რომლებსაც არ უშვებს წითელი შუშა, მოქმედებენ ცოცხალ უჯრედებზე. ასეთ სხივებს უწოდებენ ქიმიურ (ულტრა იისფერ) იისფერ, ლურჯსა და მწვანე სხივებს. ამ სხივებიდან უნდა დავიფაროთ ორგანიზმის შესანიშნავი ნაწილები: ტვინი, შიგნეულება და სხვა:

როგორ ხდება ეს? ჩვენს ორგანიზმში წითელი შუშის როლს ასრულებს სისხლი: კანში მრავლად არის გახლართული სისხლის მიმომქცევი მილები, ასე რომ ადგილიც აღარ რჩება, სინათლე გავიდეს სისხლის შეუხებლად, ხოლო წითელ სისხლში გავლით კი ორგანიზმი ღებულობს უვნებელ—წითელ სხივებს. ამას ადვილად შევამჩნევთ, თუ ანთებული სანათურის წინ გავაჩერებთ ხელს და გავხედავთ. ამნაირად სისხლს იმიტომ აქვს წითელი ფერი, რომ დაიფაროს ჩვენი ორგანიზმი ქიმიურად აქტიურ და ძალზე მავნებელ მზის სხივებისაგან.

აი ასეთი მნიშვნელობა აქვს სისხლის წითელ ფერს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები


### ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლ. ქართ. მსრ. ლეგიონის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიაში კანდიდატებად შემოსვლის შესახებ ჩვენი სკოლის შემდეგ წ. მოლაშქრეებს: 1. სიდამონიძე იასონ (ა. ლ. კ. კ. წ.), 2. დიდებაშვილი იასონ (უპარტიო), 3. მენაბდე ვასილი (ალ. კ. კ. წ.), 4. ჯაფარიძე პავლე (უპარტიო) 5. ბეროზაშვილი იოსები (ახ. ლ. კ. კ. წ.) 6. კოკაია გრიგოლი (უპარტიო) 7. ინაშვილი ნიკოლოზი (უპარტიო) 8. გუჯაბიძე დავითი (უპარტიო) 9. ბედოევი ნიკოლოზი (უპარტიო). გთხოვთ თუ ვისმეს გაქვს რაიმე საწინააღმდეგო ხსენებულ პირების შესახებ გვაცნობეთ წერილობით ან სიტყვით 27 ივნისამდე შემდეგი მისამართით:

ქ. ტფილისი 1 ლი ქართული მსროლელი ლეგიონის სკოლის კომ უჯრედს.

ცხადდება ქალაქ ტფილისისა და მისი რაიონების მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 25 ივნისიდან 3 ივლისამდი ჩათვლით, სადგურ ნავთლუღიდან აღმოსავლეთით 5-6 ვერსის მანძილზე, ვაზიანის მიმართულებით, კახეთისა და ბაქოს რკინის-გზის ხაზებს შორის, ავტოჯავშნოსანი დივიზიონი № 1 C. აწარმოებს ტყვია მფრქვევის სროლას ჯავშნოსან მანქანებიდან.

ქ. კომენდანტის თანაშემწე გეგელაშვილი.

ადმინ. სამნეო. განყოფილების უფროსი ნაკაშიძე.